გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 199
2024 წლის 13 დეკემბერი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.05.17.220.01.502), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის (ს/ნ 202051536) სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების 2024 წლის 04 სექტემბრის N Adm-040924/1 წერილის საფუძველზე, დადგა საკითხი, ქ. გორში, ბარნოვის ქ. N 9ა-ში (N 66.05.17.220.01.502) მდებარე ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით, ვინაიდან ორგანიზაციასთან გაფორმებულ ორ წლიან უზუფრუქტის ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა.

ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება აქტიურად ახორციელებს პროექტებს, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები ჩართულები არიან სხვადასხვა აქტივობებში. ტარდება სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები ბენეფიციარებისა და მოსახლეობისთვის. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება გორში ფლობს მობილური ჯანდაცვის კაბინეტს და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ახორციელებს ერთობლივ ჯანდაცვის პროექტს. ასევე, გორში მიმდინარეობს მსოფლიო დიაბეტის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი, შაქრიანი დიაბეტის პრევენციისა და მართვის გაუმჯობესება გორის მუნიციპალიტეტში. პროექტის მიზანია პირველადი პრევენციის გაუმჯობესება, ცნობიერების ამაღლება თემის დონეზე, შაქრიანი დიაბეტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, მეორადი პრევენციის გაუმჯობესება დიაბეტის არა გადამდები დაავადებების პრევენციის და მართვისთვის.

აღნიშნული პროექტების გაგრძელების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას (ს/ნ 202051536) უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ქალაქი გორი, ბარნოვის ქ. N 9ა-ში (N 66.05.17.220.01.502) მდებარე შენობის I სართულზე არსებული ნაწილი 200.00 კვ.მ ფართი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას (ს/ნ 202051536), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ქალაქ გორში, ბარნოვის ქ. N 9ა-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული ნაწილი 200.00 კვ.მ. ფართი, საკადასტრო კოდი N 66.05.17.220.01.502;

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე